



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

8 ოქტომბერი 2012 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №205

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ლ“, „ს“ და მე-10¹ (პრიმა) მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტების და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გამარტივებული შესყიდვის დაუყოვნებლივ განხორციელების და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ (პრიმა) მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოახდინოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის სამსახურებისთვის კუთვნილი კომპიუტერული ტექნიკის შეძენის გამარტივებული შესყიდვა, თანხით 1150 (ათასასორმოდრეათი) ლარი.

მუხლის 2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვების და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს (ა.გირკელიძეს) მიღებული ბრძანების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

მუხლი 3. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)

მუხლი 5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი